



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების
დოკუმენტი
2020 – 2023 წლებისათვის

შინაარსი

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ -----	3
ისტორია -----	3
მდებარეობა -----	3
ფართობი -----	3
გეოგრაფია -----	3
მმართველობის ორგანოები -----	4
მოსახლეობა -----	4
ეკონომიკა -----	5
სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა -----	5
საჯარო დაწესებულებები -----	5
ღირშესანიშნაობები -----	5
ბიუჯეტი -----	6
თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები -----	7
შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი -----	7
გადასახდელები -----	12
ბიუჯეტის ბალანსი -----	13
2018 – 2019 წლების ბიუჯეტის მიმოხილვა -----	15
2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანალიზი -----	15
2019 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზი -----	20
თავი III. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიანი	
პერიოდში -----	26
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა -----	26
ინფრასტრუქტურის განვითარება -----	27
დასუფთავება და გარემოს დაცვა -----	38
განათლება -----	40
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი -----	41
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა -----	51
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯი -----	60

მუნიციპალიტეტის 2020-2023 წლების საშუალოვადიანი

პრიორიტეტების დოკუმენტი

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ისტორია

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი თვითმმართველი ერთეულია იმერეთის მხარეში. წყალტუბოს შესახებ პირველი ისტორიული ცნობები მე-7-9 საუკუნეებით თარიღდება, მე-12-13 საუკუნეებში კი იგი უკვე ცნობილია, როგორც სამკურნალო პუნქტი. წყალტუბოში არსებულ ბუნებრივ სიმდიდრეს – სამკურნალო წყლებს საფუძვლიანი ქიმიური ანალიზი 1913 წელს ჩაუტარდა, რამაც მისი უნიკალურობა დაადასტურა. ოფიციალურ ბალნეოლოგიურ კურორტად წყალტუბო 1920 წლიდან იქცა, ხოლო ქალაქის სტატუსი 1953 წელს მიენიჭა. საბჭოთა კავშირის არსებობის წლებში იგი ცნობილი იყო როგორც საკავშირო დონის კურორტი.

მდებარეობა



წყალტუბოს მუნიციპალიტეტი მდებარეობს კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთით, მდინარეების რიონისა და გუბისწყლის ხეობაში, იმერეთის ცენტალურ ნაწილში. მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ესაზღვრება ქალაქი ქუთაისი, დასავლეთით - სამტრედიისა და ხონის, ხოლო სამხრეთით - ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტები.

ფართობი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ფართობი არის 707,5 კვ კმ. მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 30543 ჰექტარი. ტყის საერთო ფონდი შეადგენს 24 685 ჰექტარს, ხოლო 345 ჰექტარი დაკავებული აქვს სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს ტბები: თავშავას ტბა და ასევე ხელოვნურად შექმნილი „ცივი ტბა“, მდინარეები: რიონი შენაკადებით, წყალტუბოსწყალი, გუბისწყალი და სხვა.

გეოგრაფია

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის რელიეფის განმსაზღვრელ ფიზიკურ - გეოგრაფიულ ფაქტორს წარმოადგენს ფართო ოვალური ფორმის ჩაღრმავება ქვაბურ მინერალური წყაროების გამოსვლით, რომელიც ყოველი მხრიდან შემოსაზღვრულია მთაგრეხილებით. რელიეფის

ძირითადი ფორმები დაბლობ - ბორცვიანია და მთიან რეგიონში გავრცელებულია წითელმიწა, ეწერი და ნემომპალა ნიადაგები.

მმართველობის ორგანოები

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო ორგანოა მუნიციპალიტეტის საკრებულო. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 34 წევრისაგან. მათგან 15 არჩეულია პროპორციული, ხოლო 19 მაჟორიტარული სისტემით. საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრების მიერ არჩეული თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს ერთი მოადგილე. საკრებულოში შექმნილია და მუშაობს 5 კომისია, ესენია: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია; საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია; საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია; საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია და საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა მუნიციპალიტეტში აღმასრულებელი ხელისუფლებას ახორციელებს პირდაპირი წესით არჩეული მერი. მუნიციპალიტეტის მერი აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა (სამსახურები) და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არამომგებიანი, არაკომერციული იურიდიული პირების მეშვეობით.

მუნიციპალიტეტი მოიცავს 17 ტერიტორიულ ერთეულს: ქალაქი წყალტუბო და ადმინისტრაციული ერთეულები: გეგუთი, გვიშტიბი, გუმბრა, დღნორისა, მალლაკი, მექვენა, მუხიანი, ოფურჩხეთი, ოფშკვითი, პატრიკეთი, რიონი, საყულია, ფარცხანაყანევი, ქვიტირი, ცხუნკური და სოფელ წყალტუბო.

მოსახლეობა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მდგომარეობით 56 883 კაცია. წყალტუბოში 43 დასახლებული პინქტია: 1 ქალაქი და 42 სოფელი.

მოსახლეობის სიდიდის მიხედვით საქართველოს 64 მუნიციპალიტეტს შორის წყალტუბოს მუნიციპალიტეტი 9-ე ადგილზეა. მუნიციპალიტეტში დასახლებული 56 883 მოსახლიდან ქალაქში რეგისტრირებულია 11 284 პირი, ხოლო სოფელში 45 599 მაცხოვრებელი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მთლიანი საქართველოს მოსახლეობის 1,5%-ია (3 713 804 მოსახლე), ხოლო იმერეთის რეგიონის 10,7%-ს შეადგენს (533 906 მოსახლე).

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2014 წლის მონაცემების მიხედვით		
დასახლება	მოსახლეობა	ფართობი (კვ. კმ)
სულ საქართველო	3713804	69700
იმერეთის რეგიონი	533906	6516,0
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	56883	707,5
პროცენტი საქართველოსთან	1,5%	1,01%

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 15 092 პენსიონერი. მათ შორის 1493 ოჯახი სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონეა.

ეკონომიკა

მუნიციპალიტეტის ეკონომიკის წამყვანი დარგია ტურიზმი. აქ განსაკუთრებულ როლს ასრულებს კურორტი წყალტუბო, რომელიც განთქმულია სამკურნალო თერმული წყლით. აქვე აღსანიშნავია სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალი, რომელიც მთლიანად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს.

მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს სპელეოლოგიური ძეგლები: კარსტული მღვიმეები, ძაბრები და ეხები. მათგან აღსანიშნავია სათაფლიის კარსტული მღვიმე, ხომულის მღვიმე, თეთრი მღვიმე, „პრომეთეს“ მღვიმე, საწურბლიას ეხი.

მუნიციპალიტეტის სასოფლო - სამეურნეო სავარგულები 30 543 ჰექტარია. სოფლის მეურნეობაში ძირითადად განვითარებულია მეხოსტნეობა, მეხილეობა, მემარცვლეობა.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის მთავარი სატრანსპორტო კვანძია ქალაქი წყალტუბო, რომელიც საავტომობილო გზებით უკავშირდება ქალაქებს: ქუთაისს, ხონს, ცაგერს, ტყიბულს. ქალაქი სარკინიგზო მაგისტრალით უკავშირდება ქუთაისს.

საჯარო დაწესებულებები

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული დაწესებულებები. მათ შორის:

- 40 საჯარო სკოლა და 2 კერძო სკოლა, სადაც სწავლობს 5 740 მოსწავლე;
- 23 საბავშვო ბაღი - სააღმზრდელო პროცეს გადის 1850 ბავშვი;
- კულტურის ცენტრი, სადაც ფუნქციონირებს 28 ბიბლიოთეკა, 3 მუზეუმი, 10 კლუბი, 2 კულტურის სახლი და სახალხო თეატრი;
- სპორტული ცენტრი - სადაც სპორტის 12 სახეობას ეუფლება 389 ბავშვი;
- ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, სადაც ფუნქციონირებს სამუსიკო განათლებისა და სამხატვრო განათლების სკოლა 259 მოსწავლით. ასევე ცენტრში წრეების პროგრამებში მონაწილეობს 294 აღსაზრდელი.

ღირსშესანიშნაობები

წყალტუბო მრავალფუნქციური, მსოფლიო მნიშვნელობის ბალნეოლოგიური კურორტია, რომლის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანი რესურსია უნიკალური რადონის შემცველობის წყალი, რითაც კურორტი ყოველთვის იზიდავდა დამსვენებლებს. წყალტუბო საინტერესოა ტურისტებისათვის აქ არსებული კარსტული მღვიმეების „სათაფლიისა“ და „პრომეთეს“

მიწისქვეშა სილამაზით და სამკურნალო სპელეოტურიზმისათვის დამახასიათებელი ფაქტორებით.


წყალტუბოს ტერიტორიაზე მდებარეობს ფეოდალური ხანის საქართველოს საერო არქიტექტურის მნიშვნელოვანი ძეგლი გეგუთის სასახლე X-XI სს; იოანე ნათლიმცემლის სახელობის ეკლესია სოფელ დერჩში _ 8-9 ს.ს; ზარათის ეკლესია სოფ. ზარათში_ XI ს.ს.

წყალტუბოში მდებარეობს აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, მწერალ ნიკო ლორთქიფანიძის სახლ - მუზეუმი სოფელ ჩუნეშში, გიორგი ახვლედიანის სახლ - მუზეუმი სოფელ დერჩში.

ბიუჯეტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი მიმდინარე პერიოდისთვის შეადგენს 26 205,5 ათ. ლარს. ეს მაჩვენებელი ერთ-ერთი საუკეთესოა მუნიციპალიტეტის ბოლო წლების ბიუჯეტების მაჩვენებლებს შორის. ბიუჯეტის შემოსულობების დაახლოებით ნახევარს (11 363,2 ათ. ლარი) მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები შეადგენს. მათ შორის, აღსანიშნავია დამატებითი ღირებულების გადასახადი, რომელზეც საკუთარი შემოსავლების დიდი ნაწილი (7881,3 ათ. ლარი) მოდის. არასაკუთარი შემოსავლები ძირითადად შედგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერისგან, რომელიც მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად გამოეყოფა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები 2012-2019 წლებში



თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებლები

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020-2023 წლების შემოსულობების პროგნოზი საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას გათვალისწინებულ იქნა, 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და თანმდევი მასალების (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შესატანი ცვლილების პროექტი, სადაც აღნიშნულია, რომ „მუნიციპალიტეტები უფლებამოსილი არიან, საკუთარი შემოსულობების ფარგლებში, დასაგეგმი წლის ბიუჯეტის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებები გაზარდონ მიმდინარე წლის ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებულ ოდენობასთან შედარებით არაუმეტეს დასაგეგმი წლისათვის მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზირებული ნომინალური ზრდის პროცენტული მაჩვენებლის“ გათვალისწინებით. დღგ-დან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დათვლილია საბიუჯეტო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის 2020-2023 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრეგირებული მაჩვენებლები განისაზღვრა შემდეგნაირად:

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის ბიუჯეტის გეგმა			2020 წლის ბიუჯეტის პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	16 663,9	4 459,5	12 204,3	26 205,5	9 315,3	16 890,3	15 752,0	170,0	15 582,0
შემოსავლები	16 360,7	4 459,5	11 901,2	21 486,1	8 387,7	13 098,4	15 652,0	170,0	15 482,0
არაფინანსური აქტივების კლება	303,1	0,0	303,1	366,0	0,0	366,0	100,0	0,0	100,0
ფინანსური აქტივების კლება	0,0	0,0	0,0	4 353,5	927,6	3 425,9	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
შემოსავლები	16 360,7	4 459,5	11 901,2	21 486,1	8 387,7	13 098,4	15 652,0	170,0	15 482,0
გადასახადები	2 829,0	0,0	2 829,0	9 981,3	0,0	9 981,3	12 451,6	0,0	12 451,6
დღგ	0,0			7 881,3		7 881,3	9 851,6		9 851,6
საშემოსავლო გადასახადი	589,1		589,1	0,0			0,0		
ქონების გადასახადი	2 239,9	0,0	2 239,9	2 100,0	0,0	2 100,0	2 600,0	0,0	2 600,0
საქართველოს საწარმოთა კონცეზი (გარდა მიწისა)	1 585,8		1 585,8	1 500,0		1 500,0	2 000,0		2 000,0

უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0,3		0,3	0,0			0,0		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	11,5	0,0	11,5	10,0	0,0	10,0	10,0	0,0	10,0
ეკონომიკური საკმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	0,0		0,0	1,0		1,0	1,0		1,0
არაეკონომიკური საკმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	11,5		11,5	9,0		9,0	9,0		9,0
საქართველოში რეგისტრირებულ მსუბუქ ავტომობილებზე	0,0			0,0			0,0		
საქართველოში რეგისტრირებულ იახტებზე (კატარალებზე)	0,0			0,0			0,0		
საქართველოში რეგისტრირებულ თვითმფრინავებზე	0,0			0,0			0,0		
საქართველოში რეგისტრირებულ შეულმფრენებზე	0,0			0,0			0,0		
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	204,4	0,0	204,4	190,0	0,0	190,0	190,0	0,0	190,0
ფიზიკური პირებიდან	154,4		154,4	140,0		140,0	140,0		140,0
იურიდიული პირებიდან	50,0		50,0	50,0		50,0	50,0		50,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	437,9	0,0	437,9	400,0	0,0	400,0	400,0	0,0	400,0
ფიზიკური პირებიდან	63,5		63,5	50,0		50,0	50,0		50,0
იურიდიული პირებიდან	374,4		374,4	350,0		350,0	350,0		350,0
სხვა გადასახადები ქონებაზე	0,0			0,0			0,0		
სხვა გადასახადები	0,0			0,0			0,0		
გრანტები	9 965,7	4 459,5	5 506,2	8 388,9	8 387,7	1,2	170,0	170,0	0,0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	1,2		1,2	1,2		1,2	0,0		

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	0,0			0,0			0,0		
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	9 964,5	4 459,5	5 505,0	8 387,7	8 387,7	0,0	170,0	170,0	0,0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	5 675,0	170,0	5 505,0	170,0	170,0	0,0	170,0	170,0	0,0
გათანაბრებ ითი ტრანსფერი	5 505,0		5 505,0	0,0			0,0		
მიზნობრივ ი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	170,0	170,0		170,0	170,0		170,0	170,0	
დამატებუ ლი ღირებულების გადასახადი	0,0			0,0			0,0		
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	4 289,5	4 289,5	0,0	8 217,7	8 217,7	0,0	0,0	0,0	0,0
საქართველ ოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	3 987,7	3 987,7		6 182,7	6 182,7		0,0		
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0,0			704,0	704,0		0,0		
საქართველ ოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები	0,0			0,0			0,0		
სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ მუნიციპალიტეტების დაფინანსება	22,2	22,2		1 041,0	1 041,0		0,0		
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები	279,6	279,6		290,0	290,0		0,0		
სხვა შემოსავლები	3 566,1	0,0	3 566,1	3 115,9	0,0	3 115,9	3 030,4	0,0	3 030,4
შემოსავლები საკუთრებიდან	708,7	0,0	708,7	441,7	0,0	441,7	220,0	0,0	220,0
პროცენტები	290,7		290,7	221,7		221,7	0,0		

დივიდენდები	0,0			0,0			0,0		
რენტა	418,0	0,0	418,0	220,0	0,0	220,0	220,0	0,0	220,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	385,4		385,4	200,0		200,0	200,0		200,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	32,6		32,6	20,0		20,0	20,0		20,0
სხვა არაკლასიფიცირებულ ი რენტა	0,0			0,0			0,0		
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	2 023,6	0,0	2 023,6	1 260,0	0,0	1 260,0	1 260,0	0,0	1 260,0
ადმინისტრაცი ული მოსაკრებლები და გადასახდელები	1 969,5	0,0	1 969,5	1 190,0	0,0	1 190,0	1 190,0	0,0	1 190,0
საერთო- სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი	0,0			0,0			0,0		
სანებართვო მოსაკრებელი	37,9		37,9	40,0		40,0	40,0		40,0
სახელმწიფო ბაჟი	0,0			0,0			0,0		
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,0			0,0			0,0		
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,6		0,6	0,0			0,0		
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1 750,0		1 750,0	1 000,0		1 000,0	1 000,0		1 000,0
კულტურულ ი მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არიალის ინფრასტრუქტურის ადგილობრივი მოსაკრებელი	0,0			0,0			0,0		
ადგილობრივ ი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	0,0			0,0			0,0		
ადგილობრივ ი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	181,0		181,0	150,0		150,0	150,0		150,0

სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0,0			0,0			0,0		
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	54,1	0,0	54,1	70,0	0,0	70,0	70,0	0,0	70,0
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	0,0			0,0			0,0		
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	54,1		54,1	70,0		70,0	70,0		70,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	782,1		782,1	1 376,1		1 376,1	1 550,4		1 550,4
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	5,0		5,0	4,3		4,3	0,0		
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	46,6		46,6	33,8		33,8	0,0		
არაფინანსური აქტივების კლება	303,1	0,0	303,1	366,0	0,0	366,0	100,0	0,0	100,0
ძირითადი აქტივები	177,4		177,4	70,0		70,0	20,0		20,0
მატერიალური მარაგები	0,0			0,0			0,0		
ფასეულობები	0,0			0,0			0,0		
არაწარმოებული აქტივები	125,7	0,0	125,7	296,0	0,0	296,0	80,0	0,0	80,0
მიწა	125,7		125,7	296,0		296,0	80,0		80,0
სხვა ბუნებრივი აქტივები	0,0			0,0			0,0		
ფინანსური აქტივების კლება	0,0	0,0	0,0	4 353,5	927,6	3 425,9	0,0	0,0	0,0
საშინაო	0,0	0,0	0,0	4 353,5	927,6	3 425,9	0,0	0,0	0,0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0			0,0			0,0		
სესხები	0,0			0,0			0,0		
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0			0,0			0,0		
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,0			0,0			0,0		
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,0			0,0			0,0		
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0			4 353,5	927,6	3 425,9	0,0		
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0			0,0			0,0		

სესხები	0,0			0,0			0,0		
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0			0,0			0,0		
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,0			0,0			0,0		
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,0			0,0			0,0		
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0			0,0			0,0		
ვალდებულებების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საგარეო	0,0			0,0			0,0		
საშინაო	0,0			0,0			0,0		

გადასახდელები

ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით 2020-2023 წლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გადასხდელები პრიორიტეტების მიხედვით 2018-2023 წლებში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
გადასახდელები სულ	15951.2	26205.5	15752.0	17329.8	20401.8	22210.5
ინფრასტრუქტურის განვითარება	6837.0	14575.6	4517.6	4743.1	7304.3	8734.2
დასუფთავება და გარემოს დაცვა	794.3	927.5	1018.2	1067.6	1117.3	1171.0
განათლება	2013.6	3479.5	2773.0	3091.5	3191.5	3191.5
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	1969.3	2340.3	2057.8	2695.4	2909.9	3110.4
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და	1321.4	1483.8	1545.1	1748.2	1821.0	1898.6

სოციალური უზრუნველყოფა						
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	3015.5	3398.8	3840.3	3983.9	4057.9	4104.9

ბიუჯეტის ბალანსი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი 2018-2023 წლებში

დასახელება	2018 წლის ბიუჯეტის ფაქტი			2019 წლის ბიუჯეტის გეგმა			2020 წლის ბიუჯეტის პროექტი			2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
I. შემოსავლები	16 360,7	4 459,5	11 901,2	21 486,1	8 387,7	13 098,4	15 652,0	170,0	15 482,0	17 594,1	20 672,2	22 487,0
გადასახადები	2 829,0	0,0	2 829,0	9 981,3	0,0	9 981,3	12 451,6	0,0	12 451,6	14 914,5	17 993,1	19 807,3
გრანტები	9 965,7	4 459,5	5 506,2	8 388,9	8 387,7	1,2	170,0	170,0	0,0	199,6	199,1	199,7
სხვა შემოსავლები	3 566,1	0,0	3 566,1	3 115,9	0,0	3 115,9	3 030,4	0,0	3 030,4	2 480,0	2 480,0	2 480,0
II. ხარჯები	10 078,6	329,8	9 748,8	11 709,5	733,1	10 976,4	11 879,9	164,0	11 715,9	13 896,0	14 540,1	15 109,0
შრომის ანაზღაურება	2 182,3	72,3	2 109,9	2 195,4	78,6	2 116,8	2 356,6	78,6	2 278,0	2 599,6	2 599,6	2 599,6
საქონელი და მომსახურება	1 204,7	25,8	1 178,8	1 634,1	262,3	1 371,9	1 370,4	21,8	1 348,6	2 040,0	2 249,9	2 428,3
პირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
პროცენტი	52,5	0,0	52,5	55,6	0,0	55,6	31,8	0,0	31,8	26,6	21,6	16,5
სუბსიდიები	5 202,2	68,0	5 134,2	5 952,1	69,5	5 882,6	6 639,4	56,7	6 582,7	7 328,0	7 497,5	7 678,1
გრანტები	11,7	0,0	11,7	18,2	0,0	18,2	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	981,2	3,8	977,4	1 073,4	3,8	1 069,6	1 078,1	6,9	1 071,2	1 280,4	1 345,9	1 415,2

სხვა ხარჯები	444,2	159,9	284,3	780,6	318,9	461,7	403,6	0,0	403,6	621,4	825,6	971,4
III. საოპერაციო სალდო	6282,1	4 129,7	2 152,4	9776,6	7 654,6	2 122,1	3772,1	6,0	3 766,1	3 698,0	6 132,1	7 378,0
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	5569,4	3 876,9	1 692,5	14130,1	8 582,1	5 547,9	3716,5	6,0	3 710,5	3 642,5	6 076,5	7 322,4
ზრდა	5872,5	3 876,9	1 995,7	14496,0	8 582,1	5 913,9	3816,5	6,0	3 810,5	3 742,5	6 176,5	7 422,4
კლება	303,1	0,0	303,1	366,0	0,0	366,0	100,0	0,0	100,0	100,0	100,0	100,0
V. მთლიანი სალდო	712,7	252,9	459,9	-4353,4	-927,5	-3 425,9	55,6	0,0	55,6	55,6	55,6	55,6
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	712,7	252,8	459,9	-4353,4	-927,5	-3 425,9	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ზრდა	712,7	252,8	459,9	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	712,7	252,8	459,9	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0			0,0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სესხები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სადაზღვეო ტექნიკური რეზერვები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	0,0	0,0	0,0	4353,5	927,6	3 425,9	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	0,0			0,0			0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სესხები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

აქციე ბი და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სადა ზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
წარმ ოებული ფინანსური ინსტრუმენტე ბი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა დებიტორულ ი დავალიანებე ბი	0,0	0,0	0,0	4 353, 5	927,6	3 425,9	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
VII. ვალდებულებ ების ცვლილება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	- 55,6	0,0	-55,6	-55,6	-55,6	-55,6
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საგა რეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საშინ აო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	55,6	0,0	55,6	55,6	55,6	55,6
საგა რეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საშინ აო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	55,6	0,0	55,6	55,6	55,6	55,6
VIII. ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,000	0,000	0,000

2018 – 2019 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა

2018 წელი - ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

2018 წლის ბიუჯეტის პროექტის საპროგნოზო მაჩვენებლები 2017 წლის 25 დეკემბრის №55 დადგენილებით განისაზღვრა 10 158.8 ათასი ლარით. მათ შორის:

- გადასახადები შემოსავლებიდან - 3 200 ათასი ლარი;
- გრანტები (გათანაბრებითი და მიზნობრივი ტრანსფერები) – 5 675 ათასი ლარით;
- სხვა შემოსავლები - 1 183.8 ათასი ლარით;
- არაფინანსური აქტივების კლება- 100.0 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილიც განსაზღვრული იქნა - 10 158. 8 ათასი ლარით.

საქართველოს კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით, 2018 წლის განმავლობაში ბიუჯეტში განხორციელდა 12 ცვლილება. აღნიშნული ცვლილებები ძირითადად გამოწვეული იყო:

- წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთის 3640.8 ათასი ლარის განაწილებით (აქედან გარდამავალ ვალდებულებებზე მიმართული იქნა - 1523,8 ათ. ლარი; ხოლო თავისუფალი ნაშთის სახით განაწილდა - 2117.0 ათ. ლარი.);

- საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტითა და ნებაყოფლობითი ტრანსფერებით, გრანტების გარეშე 6.3 ათ. ლარი;
- ადგილობრივი შემოსავლების ზრდით - 1526,0 ათ. ლარი (სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 1 042,9 ათ. ლარი, ბანკის პროცენტი - 245,0 ათ. ლარი, არაფინანსური აქტივის კლება - ძირითადი აქტივები - 160,0 ათ. ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავები - 78,1 ათ. ლარი).
- საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 ოქტომბრის №1993 განკარგულებით - 22,2 ათ.ლარი.
- საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის №2367 განკარგულებით - 300,0 ათ. ლარი.
- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტს 2018 წლის 18 იანვრის №136 განკარგულებით დაფინანსების გამოყოფით 4 185.5 ათ. ლარი.

აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 19 839.6 ათასი ლარით.

2018 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 15 938,8 ათ. ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა სულ 16 360,7 ათ. ლარი ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 102,6%, მათ შორის:

საგადასახადო, სხვა შემოსავლების და არაფინანსური აქტივების კლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 6 014,9 ათ. ლარით, ფაქტიურად მობილიზებული იქნა 6 698,1 ათ. ლარი ანუ შესრულდა 111,4%-ით. მათ შორის:

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3200,0 ათ. ლარით, ფაქტიურად მობილიზებული იქნა 2829,0 ათ. ლარი ანუ შესრულდა 88,4 %-ით.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2554,9 ათ. ლარით და ფაქტიურად მობილიზებული იქნა 3566,0 ათ. ლარი ანუ შესრულდა 139,6 %-ით.

არაფინანსური აქტივების კლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 260,0 ათ. ლარით, ფაქტიურად მობილიზებული იქნა 303,1 ათ. ლარი ანუ შესრულდა 116,6 %-ით.

2018 წლის ბიუჯეტის

შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები ცალკეული სახეების მიხედვით

ათასი ლარი

	შემოსავლების დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის ფაქტი	%
I	საგადასახადო შემოსავლები	3200,0	2829,0	88,4
	საშემოსავლო გადასახადი	800,0	589,1	73,6

	ქონების გადასახადი	1790,0	1597,6	89,3
	მიწის გადასახადი	610,0	642,3	105,3
II	სხვა შემოსავლები	2554,9	3566,0	139,6
	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით	148,0	385,4	260,4
	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან	26,0	32,6	125,4
	სანებართვო მოსაკრებელი	35,0	37,9	108,3
	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1517,7	1750,0	115,3
	დასუფთავების მოსაკრებელი	130,0	181,0	139,2
	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	50,0	54,1	108,2
	ჯარიმები და სანქციები	378,1	782,1	206,9
	ნებაყოფლობითი ტრანსფერი , გრანტების გარეშე და ბანკის პროცენტი	250,1	295,7	118,2
	შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი	20,0	46,6	233,0
	სხვა მოსაკრებლები		0,6	
III	არაფინანსური აქტივები	260,0	303,1	116,6
	ძირითადი აქტივები	170,0	177,4	104,4
	არამწარმოებლური აქტივი	90,0	125,7	139,7
IV	სულ:	6014,9	6698,1	102,6

გათანაბრებითი ტრანსფერის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 5 505,0 ათ. ლარით, ფაქტიურად მიღებული იქნა 5 505,0 ათ. ლარი ანუ შესრულდა 100 %-ით.

მიზნობრივი ტრანსფერის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 170,0 ათ. ლარით, ფაქტიურად მიღებული იქნა 170,0 ათ. ლარი ანუ შესრულდა 100%-ით.

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1,2 ათ. ლარით, ფაქტიურად მიღებული იქნა 1,2 ათ. ლარი ანუ შესრულდა 100 %-ით.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (2018 წლის 18 იანვრის №136 განკარგულებით) ფაქტიურად მიღებული იქნა 3 987,7 ათ. ლარი ანუ შესრულდა 74,8 %-ით.

- საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 ოქტომბრის №1993 განკარგულებით - 22,2 ათ.ლარი.
- საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის №2367 განკარგულებით - 279,6 ათ. ლარი.

**2018 წლის ბიუჯეტის
გრანტების შესრულების მაჩვენებლები ცალკეული სახეების მიხედვით**

ათასი ლარი

	დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის ფაქტი	%
I	გრანტები	10183,9	9965,7	97,8
	გათანაბრებითი ტრანსფერი	5505,0	5505,0	100
	მიზნობრივი ტრანსფერი	170,0	170,0	100
	სპეციალური ტრანსფერი	323,4	303,0	93,7
	რგვ	4185,5	3987,7	95,3

2018 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებელი საანგარიშო პერიოდისათვის განისაზღვრა 19 839,7 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 15951,2 ათასი ლარი ანუ შესრულდა 80,4 %-ით.

**2018 წლის ბიუჯეტის
გადასახდელების შესრულების მაჩვენებლები**

ათასი ლარი

	ხარჯის დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის ფაქტი	%
1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3112,3	2909,9	93,5
2	თავდაცვა	108,9	105,6	97,0
3	ეკონომიკური საქმიანობა	8300,3	5333,0	64,3
4	გარემოს დაცვა	830,2	794,3	95,7
5	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2315,0	1817,8	78,5
6	ჯანმრთელობის დაცვა	70,4	70,1	99,6
7	დასვენება, კულტურა და რელიგია	1689,2	1655,3	98,0

8	განათლება	2118,8	2013,6	95,0
9	სოციალური დაცვა	1294,6	1251,3	96,7
10	სულ	19839,6	15951,1	80,4

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფერო გეგმით განსაზღვრული იყო 3112,3 ათ. ლარით, დაფინანსებულია 2909,9 ათ. ლარი. ხარჯვითი ნაწილის გეგმა შესრულდა 93,5 %-ით. მათ შორის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები დაფინანსდა - 2909,9 ათ. ლარით. რაც შეეხება 2018 წლის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს დამტკიცებული ბიუჯეტის მოცულობიდან გამომდინარე, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის გათვალისწინებით სარეზერვო ფონდი წლის დასაწყისისთვის განისაზღვრა 150,0 ათ. ლარით. ზოლო წლის განმავლობაში დაზუსტდა და გეგმა განისაზღვრა 180,0 ათასი ლარით, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 154,9 ათასი ლარი.

თავდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 108,9 ათ. ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 105,6 ათ. ლარი. ხარჯვითი ნაწილის გეგმა შესრულდა 97 %-ით.

ეკონომიკური საქმიანობის სფერო დაგეგმილი იყო 8 300,3 ათ. ლარით, საკასო ხარჯმა შეადგინა 5 333,0 ათ. ლარი, ხარჯვითი ნაწილის გეგმა შესრულდა 64,3 %-ით, კერძოდ: მუნიციპალიტეტში საავტომობილო გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვაზე დაიხარჯა 4 641,7 ათ. ლარი სანიაღვრე არხის მოწყობა - 61,7 ათ. ლარი; მოსაცდელეები - 20,0 ათ. ლარი; მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების პროექტირებაზე დაიხარჯა - 56,4 ათ. ლარი; საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობას ჩაერიცხა მომსახურების ღირებულება - 199,6 ათ. ლარი; ხიდების რეაბილიტაცია - 39,7 ათ. ლარი; მოხდა სპორტული მოედნების რეაბილიტაციაზე დაიხარჯა - 313,9 ათ. ლარი.

გარემოს დაცვა - გეგმით განსაზღვრული იყო 830,2 ათ. ლარით, საკასო ხარჯმა შეადგინა 794,3 ათ. ლარი. აღნიშნული მუხლით დაფინანსდა (ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება - 786,8 ათ. ლარით და მაწანწალა ძაღლების იზოლირება - 7,5 ათ. ლარი), ხარჯვითი ნაწილის გეგმა შესრულდა 95,7 %-ით.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფერო გეგმით განსაზღვრული იყო 2315,0 ათ. ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 1817,8 ათ. ლარი, ხარჯვითი ნაწილის გეგმა შესრულდა 78,5 %-ით, კერძოდ: შენობების რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა - 512,9 ათ. ლარით; წყლის სისტემები - 56,9 ათ. ლარით; გარე განათება დაფინანსებულია - 400,9 ათ. ლარით; აიპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრი“-ს დაფინანსება 847,1 ათ. ლარით.

ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსება გეგმით განსაზღვრული იყო 70,4 ათ. ლარით, საკასო ხარჯმა შეადგინა 70,1 ათ. ლარი, აღნიშნულით გათვალისწინებულია ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის წყალტუბოს ცენტრის“ დაფინანსება. ხარჯვითი ნაწილის გეგმა შესრულდა 99,6 %-ით.

დასვენება, კულტურა, სპორტისა და რელიგიის სფერო გეგმით განსაზღვრული იყო 1689,2 ათ. ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 1655,3 ათ. ლარი, ხარჯვითი ნაწილის გეგმა შესრულდა 98,0 %-ით,

მათ შორის: ა(ა)იპ „წყალტუბოს სპორტული კლუბების გაერთიანება“ დაფინანსებულია - 349,9 ათ. ლარით; სპორტული ღონისძიებები - 20,6 ათ. ლარით; ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“ დაფინანსებულია 352,6 ათ. ლარით; ახალგაზრდული და კულტურული ღონისძიებები - 152,7 ათ. ლარით; ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“ დაფინანსებულია 135,1 ათ. ლარით. ა(ა)იპ „წყალტუბოს კულტურის ცენტრი“ დაფინანსებულია 544,2 ათ. ლარით; ეპარქიის სუბსიდირება - 100,0 ათ. ლარი.

განათლების სფერო (ა(ა)იპ წყალტუბოს საბავშვო ბაღების გაერთიანების) გეგმით განსაზღვრული იყო 2118,8 ათ. ლარით, საკასო ხარჯმა შეადგინა 2013,6 ათ. ლარი. ხარჯვითი ნაწილის გეგმა შესრულდა 95,0 %-ით.

სოციალური დაცვის სფეროს პროგრამები გეგმით განსაზღვრული იყო 1294,6 ათ. ლარი, დაფინანსებულია 1251,3 ათ. ლარი, ხარჯვითი ნაწილის გეგმა შესრულდა 96,7 %-ით, მათ შორის:

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“ დაფინანსებულია 159,8 ათ. ლარი.

დღეგრძელთა დახმარება 3,0 ათ. ლარით;

მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური წახალისებისათვის საკასო ხარჯმა შეადგინა 95,3 ათ. ლარი;

სარიტუალო ხარჯების დასაფარავად გაცემულია 11,5 ათ. ლარი;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება დაფინანსებულია 444,2 ათ. ლარით;

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის“ დაფინანსებულია 112,0 ათ. ლარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარება დაფინანსებულია 385,5 ათ. ლარით;

სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარება 40,0 ათ. ლარით;

ამრიგად, 2018 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები შესრულდა 102,9 %-ით, ხოლო გადასახდელები 80,4%-ით.

2019 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

2019 წლის ბიუჯეტის პროექტის საპროგნოზო მაჩვენებლები 2018 წლის 24 დეკემბრის №66 დადგენილებით განისაზღვრა 12 230.0 ათასი ლარით. მათ შორის:

- გადასახადები შემოსავლებიდან - 9 981.3 ათასი ლარი;
- გრანტები (მიზნობრივი ტრანსფერები) – 170.0 ათასი ლარით;
- სხვა შემოსავლები - 1 978.7 ათასი ლარით;
- არაფინანსური აქტივების კლება- 100.0 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილიც განსაზღვრული იქნა - 12 230.0 ათასი ლარით.

საქართველოს კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით, 2019 წლის 9 თვის განმავლობაში ბიუჯეტში განხორციელდა 18 ცვლილება.

აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის წლიური ბიუჯეტი განისაზღვრა 25 345.5 ათასი ლარი. ცვლილებები ძირითადად გამოწვეული იყო:

- წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთიდან 4353,5 ათასი ლარის განაწილებით (აქედან გარდამავალ ვალდებულებებზე მიმართული იქნა - 1913.3 ათ. ლარი; ხოლო თავისუფალი ნაშთის სახით განაწილდა - 2440.2 ათ. ლარი.);
- საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტითა და ნებაყოფლობითი ტრანსფერებით, გრანტების გარეშე 5,5 ათ. ლარი;
- ადგილობრივი შემოსავლების ზრდით - 987.8 ათ. ლარი (ჯარიმები, სანქციები და საურავები - 693.3 ათ. ლარი; შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული - 33,8 ლარი; პროცენტები - 189,7 ათ. ლარი და არაფინანსური აქტივის კლება - 71,0 ლარი).
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულებით - 1034.3 ათ.ლარი.
- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულებით - 4789.9 ათ. ლარი.
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 თებერვლის №215 განკარგულების შესაბამისად - 95.0 ათ. ლარი (სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე).
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 08 თებერვლის №208 განკარგულების შესაბამისად - 704.0 ათ. ლარი (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში).
- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №554 განკარგულებით - 418,5 ათ. ლარი.
- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №557 განკარგულებით - 532.0 ათ. ლარი.
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 აპრილის №986 განკარგულების შესაბამისად - 195.0 ათ. ლარი (სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე).

აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის 2019 წლის 9 თვის ბიუჯეტი განისაზღვრა 25 342.2 ათასი ლარით.

2019 წლის 9 თვის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 16662.5 ათ. ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა სულ 17434.3 ათ. ლარი ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 104,6%, მათ შორის:

საგადასახადო, სხვა შემოსავლების და არაფინანსური აქტივების კლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 9414.1 ათ. ლარით, ფაქტიურად მობილიზებული იქნა 11301.2 ათ. ლარი ანუ შესრულდა 120%-ით. მათ შორის:

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 7424.4 ათ. ლარით, ფაქტიურად მობილიზებული იქნა 8174.5 ათ. ლარი ანუ შესრულდა 110,1 %-ით.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1916.0 ათ. ლარით და ფაქტიურად მობილიზებული იქნა 2760.6 ათ. ლარი ანუ შესრულდა 144.0 %-ით.

არაფინანსური აქტივების კლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 73.8 ათ. ლარით, ფაქტიურად მობილიზებული იქნა 366.1 ათ. ლარი ანუ შესრულდა 496.0 %-ით,

**2019 წლის 9 თვის ბიუჯეტის
შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები ცალკეული სახეების მიხედვით**

ათასი ლარი

	შემოსავლების დასახელება	2019 წლის 9 თვის გეგმა	2019 წლის 9 თვის ფაქტი	%
I	საგადასახადო შემოსავლები	7424.4	8174.5	101.1
	დამატებითი ღირებულების გადასახადი	5911.0	6017.9	101.8
	ქონების გადასახადი	1433.3	2068.5	144,3
	მიწის გადასახადი	80.1	88.1	109.9
II	სხვა შემოსავლები	1916	2760.6	144.0
	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსით	191.0	194	101.5
	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან	9.0	29.4	326.6
	სანებართვო მოსაკრებელი	35.0	38.1	108.8
	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	750.0	750.0	100,0
	დასუფთავების მოსაკრებელი	112.5	123.2	109.5
	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	51.9	44.9	86.5
	ჯარიმები და სანქციები	610.2	1309.4	214.5
	ნებაყოფლობითი ტრანსფერი , გრანტების გარეშე და ბანკის პროცენტი	156.4	220.7	141.1
	შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი	0,0	50.8	
	სხვა მოსაკრებლები			
III	არაფინანსური აქტივები	73.8	366.1	496.0
	ძირითადი აქტივები	33.8	70,2	207.7
	არამწარმოებლური აქტივი	40	296.0	740.0
IV	სულ:	16662.5	17434.3	104.6

მიზნობრივი ტრანსფერის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 127.5 ათ. ლარით, ფაქტიურად მიღებული იქნა 127.8 ათ. ლარი ანუ შესრულდა 100,2%-ით.

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1,2 ათ. ლარით, ფაქტიურად მიღებული იქნა 1,2 ათ. ლარი ანუ შესრულდა 100 %-ით.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულებით ფაქტიურად მიღებული იქნა 714.5 ათ. ლარი, საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 714.5 ათ. ლარით ანუ შესრულდა 100.0 %-ით.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 თებერვლის №215 განკარგულებით ფაქტიურად მიღებული იქნა 94,3 ათ. ლარი, საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 95,0 ათ. ლარით ანუ შესრულდა 99,3 %-ით (სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე).

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 აპრილის №986 განკარგულებით ფაქტიურად მიღებული იქნა 180,5 ათ. ლარი, საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 195 ათ. ლარით ანუ შესრულდა 92,6 %-ით (სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე).

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულებით ფაქტიურად მიღებული იქნა 4592.4 ათ. ლარი, საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 4746.0 ათ. ლარით ანუ შესრულდა 96.8 %-ით.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 08 თებერვლის №208 განკარგულებით ფაქტიურად მიღებული იქნა 550,4 ათ. ლარი, საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 645.6 ათ. ლარით ანუ შესრულდა 85.3 %-ით (სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში).

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №554 განკარგულებით ფაქტიურად მიღებული იქნა 239.2 ათ. ლარი, საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 418.4 ათ. ლარით ანუ შესრულდა 57.2 %-ით.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №557 განკარგულებით ფაქტიურად მიღებული იქნა 0.0 ათ. ლარი, საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 378.8 ათ. ლარით.

**2019 წლის 9 თვის ბიუჯეტის
გრანტების შესრულების მაჩვენებლები ცალკეული სახეების მიხედვით**

ათასი ლარი

	დასახელება	2019 წლის 9 თვის გეგმა	2019 წლის 9 თვის ფაქტი	%
I	გრანტები	7332.1	6499.2	88.6

მიზნობრივი ტრანსფერი	127.5	127.8	100,2
სპეციალური ტრანსფერი	2448.6	1779.0	72.7
რგგ	4746.0	4592.4	96.8

**2019 წლის 9 თვის ბიუჯეტის
გადასახდელები**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის 9 თვის ბიუჯეტის გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებელი საანგარიშო პერიოდისათვის განისაზღვრა 19 937.1 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 16 873.4 ათასი ლარი ანუ შესრულდა 84,6 %-ით.

**2019 წლის 9 თვის ბიუჯეტის
გადასახდელების შესრულების მაჩვენებლები**

ათასი ლარი

ხარჯის დასახელება		2019 წლის 9 თვის გეგმა	2019 წლის 9 თვის ფაქტი	%
1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2337.3	2111.5	90.3
2	თავდაცვა	80.3	76.1	94.7
3	ეკონომიკური საქმიანობა	8908.7	7636.1	85.7
4	გარემოს დაცვა	717.9	653.8	91.0
5	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2641.7	1938.9	73.3
6	ჯანმრთელობის დაცვა	58.0	55.0	94.8
7	დასვენება, კულტურა და რელიგია	1454.6	1180.4	81.1
8	განათლება	2552.6	2095.5	82.1
9	სოციალური დაცვა	1186.0	1126.1	94.9
10	სულ	19937.1	16873.4	84.6

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფერო გეგმით განსაზღვრული იყო 2 337.3 ათ. ლარით, დაფინანსებულია 2 111.5 ათ. ლარი. ხარჯვითი ნაწილის გეგმა შესრულდა 90.3 %-ით. მათ შორის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები დაფინანსდა - 1 424,8 ათ. ლარით. რაც შეეხება 2019 წლის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს

დამტკიცებული ბიუჯეტის მოცულობიდან გამომდინარე, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის გათვალისწინებით სარეზერვო ფონდი წლის განმავლობაში განისაზღვრა 100,0 ათ. ლარით. საანგარიშო პერიოდისათვის გეგმა განისაზღვრა 100.0 ათასი ლარით, შესაბამისად საკასო შესრულებამ შეადგინა 100,0 ათ. ლარი, რაც გამოყოფილი იქნა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ დაავადებულ პირთა მედიკამენტოზური მკურნალობისათვის, სპორტსმენების სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობისათვის წლიური ლიცენზიის მისაღებად, ქ. წყალტუბოში დუმბაძის ქ. #22-ში მცხოვრებ ნატალია ცინარიძისათვის და შემდგომ ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის „ღია სახლის“ ანგარიშზე ჩარიცხვისათვის. წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის გეგმა განისაზღვრა 4,3 ათ ლარით და საკასო ხარჯმა შეადგინა 4,3 ათ. ლარი. ხოლო კადრების მომზადების პროგრამის გეგმამ შეადგინა 10,8 ათ. ლარი და საკასო ხარჯმა - 3,3 ათ. ლარი.

თავდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 80.3 ათ. ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 76.1 ათ. ლარი. ხარჯვითი ნაწილის გეგმა შესრულდა 94.7 %-ით.

ეკონომიკური საქმიანობის სფერო დაგეგმილი იყო 8908.7 ათ. ლარით, საკასო ხარჯმა შეადგინა 7636.1 ათ. ლარი, ხარჯვითი ნაწილის გეგმა შესრულდა 85.7 %-ით, კერძოდ: მუნიციპალიტეტში საავტომობილო გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვაზე დაიხარჯა 6554,8 ათ. ლარი; სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში - 397,4 ათ. ლარი, მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების პროექტირებაზე დაიხარჯა - 169,7 ათ. ლარი; საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობას ჩაერიცხა მომსახურების ღირებულება - 193,1 ათ. ლარი; სპორტული მოედნების რეაბილიტაციაზე დაიხარჯა - 286 ათ. ლარი, მოსაცდელის რეაბილიტაციაზე დაიხარჯა - 35,0 ათ. ლარი.

გარემოს დაცვა - გეგმით განსაზღვრული იყო 717,9 ათ. ლარით, საკასო ხარჯმა შეადგინა 653,8 ათ. ლარი. აღნიშნული მუხლით დაფინანსდა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება - 645,4 ათ. ლარით, ხოლო მაწანწალა ძაღლების იზოლირება - 8,4 ათ. ლარი. ხარჯვითი ნაწილის გეგმა შესრულდა 91,0 %-ით.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფერო გეგმით განსაზღვრული იყო 2641,7 ათ. ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 1938,9 ათ. ლარი, ხარჯვითი ნაწილის გეგმა შესრულდა 73,3 %-ით, კერძოდ: შენობების რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა - 822,6 ათ. ლარით; წყლის სისტემები - 189,0 ათ. ლარით; გარე განათება დაფინანსებულია - 267,6 ათ. ლარით; აიპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრი“-ს დაფინანსება 659,8 ათ. ლარით.

ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსება გეგმით განსაზღვრული იყო 58,0 ათ. ლარით, საკასო ხარჯმა შეადგინა 55,0 ათ. ლარი, აღნიშნულით გათვალისწინებულია ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის წყალტუბოს ცენტრის“ დაფინანსება. ხარჯვითი ნაწილის გეგმა შესრულდა 86,3 %-ით.

დასვენება, კულტურა, სპორტისა და რელიგიის სფერო გეგმით განსაზღვრული იყო 1454,6 ათ. ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 1180,4 ათ. ლარი, ხარჯვითი ნაწილის გეგმა შესრულდა 81,1 %-ით, მათ შორის: ა(ა)იპ „წყალტუბოს სპორტული კლუბების გაერთიანება“ დაფინანსებულია - 294,0 ათ. ლარით; სპორტული ღონისძიებები - 16,3 ათ. ლარით; ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბი სამგურალი დაფინანსებულია - 44,5 ათ. ლარით; ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და

ახალგაზრდობის ცენტრი“ დაფინანსებულია 284,4 ათ. ლარით; ახალგაზრდული და კულტურული ღონისძიებები - 16,4 ათ. ლარით; ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“ დაფინანსებულია 112,4 ათ. ლარით. ა(ა)იპ „წყალტუბოს კულტურის ცენტრი“ დაფინანსებულია 412,4 ათ. ლარით.

განათლების სფერო გეგმით განსაზღვრული იყო 2552,6 ათ. ლარით, საკასო ხარჯმა შეადგინა 2095,5 ათ. ლარი. ხარჯვითი ნაწილის გეგმა შესრულდა 80,0 %-ით, მათ შორის: ა(ა)იპ წყალტუბოს საბავშვო ბაღების გაერთიანება“ დაფინანსებულია - 1629,4 ათ. ლარით და ზოგადი განათლება დაფინანსებულია - 466,1 ათ. ლარით.

სოციალური დაცვის სფეროს პროგრამები გეგმით განსაზღვრული იყო 1186,0 ათ. ლარი, დაფინანსებულია 1126,1 ათ. ლარი, ხარჯვითი ნაწილის გეგმა შესრულდა 94,9 %-ით, მათ შორის:

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“ დაფინანსებულია 138,6 ათ. ლარი.

მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური წახალისებისათვის საკასო ხარჯმა შეადგინა 61,1 ათ. ლარი;

სარიტუალო ხარჯების დასაფარავად გაცემულია 7,5 ათ. ლარი;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება დაფინანსებულია 460,1 ათ. ლარით;

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის“ დაფინანსებულია 80,1 ათ. ლარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარება დაფინანსებულია 341,5 ათ. ლარით;

სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარება 37,2 ათ. ლარით;

